ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27

2010 წლის 19 ოქტომბერი

ქ. ახმეტა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების ,,ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე'' და ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები, თანდართული დანართის სახით.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სახელფასო სარგოების დამტკიცების შესახებ'' ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 აგვისტოს №12 დადგენილება.
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ა. მაილაშვილი

დანართი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2360 ლარი
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1100 ლარი
3	კომისიის თავმჯდომარე	650 ლარი
4	ფრაქციის თავმჯდომარე	650 ლარი
5	აპარატის უფროსი	700 ლარი
6	სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი	450 ლარი
7	მთავარი სპეციალისტი	420 ლარი
8	სპეციალისტი	320 ლარი